საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №16

ქ. თბილისი

12.07.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, (სხდომის თავმჯდომარე);

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი;

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ნათელა დოლიძე-მახარაშვილი - შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის დირექტორი;
2. ვლადიმერ ჭინია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
3. ვახტანგ ჭინია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. კახაბერ ერაძე - შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს დირექტორი;
5. ლუკა ბიწაძე - შპს - პროფიუნიტის წარმომადგენელი;
6. ალექსანდრე დოლიძე - შპს - პროფიუნიტის წარმომადგენელი;
7. ილია ბროლაძე - შპს - ლაზარე +ის დირექტორი;

8. ჯულიეტა ლაზარაშვილი - შპს - ლაზარე +ის სასწავლო ნაწილის გამგე;
9. რუსუდან ჩიტალაძე - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;
10. ეკა კანდელაკი - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
11. ინგა მანაშერიძე - შპს - ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი;
12. მერი გაბედავა - შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. ეკა ლუაშვილი - შპს - ინტერბიზნესის აკადემიის იურისტი;
14. ვასილ კიკნაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - პანაცეას დირექტორი;
15. მაია ჩინჩალაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - პანაცეას დირექტორის მოადგილე;
16. ნანა გელაშვილი - შპს - ნანას დირექტორი;
17. დავით ზურაბაშვილი - შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის დირექტორი;
18. თემურ წურწუმია - შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის იურისტი;
19. რაინდი ლომაია - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონის'' დირექტორი;
20. ნოდარ პაპუკაშვილი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
21. ნანა ჯანაშია - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
22. ირმა ნოზაძე - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
23. ლიანა ჭოველძე - შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას რექტორი;
24. მარინე კობალავა - შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას პრორექტორი;
25. ნინო ბოჭორიშვილი - შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
26. დავით ქადაგიძე - შპს - ევრაზიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
27. დავით ჩერქეზიშვილი - შპს - ევრაზიის პრორექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა იოსებ სალუქვაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:30 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. შპს - პროფიუნიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს - ლაზარე + სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
6. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N 1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
7. შპს - ინტერბიზნესის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
8. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - პანაცეასათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
9. შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - ევრაზიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - ნანას წერილობით განცხადება შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავსირებით. საბჭოს სხდომაზე მყოფმა შპს - ნანას დირექტორმა ნანა გელაშვილმა აღნიშნა, რომ მას აღარ სურდა საკითხის განხილვის გადადება. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 128-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 128 პროფესიული სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 128-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 243913958) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 128-ით.

სხდომას შემოუერთდა სანჭოს წევრი ანა კლდიაშვილი.

2. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.1.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული საბაზო განათლება.

1.1.2 პროგრამის ხანგრძლივობა არაა დაზუსტებული და მითითებულია, რომ ის „სავარაუდოდ 42-44 კვირაა“.

1.1.3 სასწავლო გეგმაში, სასწავლო პრაქტიკა ზის არა როგორც სასწავლო კურსების ჩამონათვალში, არამედ, სტუდენტთა დატვირთვის საათობრივ განაწილებაში, თუმცა მისთვის არც ერთი საათი არ არის გამოყოფილი.

1.1.4 ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობად მითითებულია ერთი სემესტრი, თუმცა არც პროგრამიდან და არც სხვა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტიდან არ ჩანს რამდენ კვირიანია სემესტრი.

1.1.5 ზოგიერთ სილაბუსში (კოსმეტიკური და სპორტული მასაჟი, კლასიკური მასაჟი, პირველადი გადაუდებელი დახმარება, ზოგადი ჰიგიენა, სამედიცინო რეაბილიტავია, პრაქტიკის სილაბუსები და სხვ.) კომუნიკაციის უნარში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეეძლება ინფორმაციის მოძიება როგორც წიგნების, ასევე ინტერნეტის საშუალებით, შეეძლება მარტივი სპეციალური ტექსტების დამუშავება ინგლისურ ენაზე. ამ შედეგის მიღწევა არც სასწავლო კურსის მიზანში და არც სილაბუსის თემატიკით განსაზღვრული არ არის.

1.1.6 სილაბუსებიდან არ ჩანს რომელ კვირაშია განსაზღვრული დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ჩატარება.

1.2 ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.2.1 პროგრამის ხანგრძლივობა არაა დაზუსტებული და მითითებულია რომ ის „სავარაუდოდ 22-24 კვირაა“.

1.2.2. სწავლების მეთოდებში გაწერილია სასწავლო პრაქტიკა, თუმცა მასზე არც ერთი საათი არ არის გაწერილი.

1.2.3 პროგრამის ყველა სილაბუსში კომუნიკაციის უნარში მითითებულია - სტუდენტი შეძლებს უცხო ენაზე კომუნიკაციას. თუმცა, ინგლისური ენის სილაბუსის გარდა, არც ერთი სილაბუსით ამ შედეგზე გასვლა არ დევს არც სწავლის მიზანში და არც მათ თემატიკაში.

1.2.4 სილაბუსებიდან არ ჩანს რომელ კვირაშია განსაზღვრული დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ჩატარება.

1.2.5 სილაბუსებში კურსის ხანგრძლივობად მითითებულია ერთი სემესტრი, მაგრამ არ ჩანს კურსი რამდენ კვირიანია.

1.3 ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.3.1 სასწავლო კურსების სილაბუსების შედეგებში სტუდენტის მიერ გამომუშავებული კომუნიკაციის უნარი ყველგან ერთნაირია და მითითებულია, რომ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემას და ანგარიშის წარდგენას. ასეთი შედეგი კი თვითონ კურსების მიზნებში და მათ თემატიკაში განსაზღვრული არაა.

1.3.2 სილაბუსებიდან არ ჩანს რომელ კვირაშია განსაზღვრული დასკვნითი და განმეორებითი გამოცდის ჩაბარება. სასწავლო კურსის - „წამლის სააფთიაქო ტექნოლოგია“, შუალედურ გამოცდას პირდაპირ მოსდევს დასკვნითი გამოცდა.

1.3.3 სასწავლო კურსის „საქონელმცოდნეობა და წამლის დიზაინი“ მიზანია, წამლის დიზაინის შესწავლა და რომ სტუდენტი გათვითცნობიერებული იქნება საქონლის ხარისხის სტანდარტში. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში კი მითითებულია, რომ სტუდენტი ამ კურსის სწავლის გავლის შემდგომ შეძლებს მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადებას, შრობას, შენახვას.

1.3.4 ფარმაკოთერაპიის კურსის სილაბუსში ფიქსირდება, რომ საგანს წინაპირობა არ აქვს, შემდგომ კი საგნის სწავლების მიზანში ვკითხულობთ: „**ფარმაკოთერაპიის** კურსის შესწავლამდე სტუდენტს შესწავლილი უნდა ჰქონდეს სამედიცინო ბიოლოგია, არაორგანული და ორგანული ქიმია, ადამიანის ნორმალური ანატომია, ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, ბიოქიმია, პათფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ფარმაკოლოგია“.

1.4 ბუღალტრის მე-3 და მე-4 საფეხურების, საბაჟო წარმომადგენლის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამები:

1.4.1 პროგრამის ხანგრძლივობა არაა ზუსტად განსაზღვრული, მისი სავარაუდო ხანგრძლივობაა 22-24 კვირა.

1.4.2 პროგრამის სილაბუსებში მითითებული შედეგები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში. მოცემული ეხება კომუნიკაციის უნარს, სადაც მისაღწევ შედეგებში უცხო ენაზე კომუნიკაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზეა საუბარი.

1.4.3 სილაბუსებიდან არ ჩანს რომელ კვირაშია განსაზღვრული დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ჩატარება.

1.4.4 ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობად მითითებულია ერთი სემესტრი, თუმცა არც პროგრამიდან და არც სხვა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტიდან არ ჩანს რამდენ კვირიანია სემესტრი.

1.5 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.5.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - „ექთნისთანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“, რაც სტანდარტთან შეუსაბამობაშია.

1.5.2 სილაბუსებში კურსის შედეგები კომპეტენციების მიხედვით არასწორადაა გაწერილი, მაგ.: სასწავლო კურსის -„ორსულის/მშობიარის მოვლა,“ შედეგში ,,ცოდნა და გაცნობიერება“ მითითებულია - შეეძლება გადაუდებელი დახმარების გაწევა, ექნება ოპერაციის შემდგომი მოვლის უნარ-ჩვევები, რაც „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას” წარმოადგენს. ღირებულებებში კი მითითებულია - პაციენტებთან და კოლეგებთან დაიცავს

სამართლებრივ ნორმებს, ამ შედეგეგის მიღწევა შეუძლებელია კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ამასთან იგი არც მიზანშია გაწერილი.

1.6 ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.6.1 პროგრამის ხანგრძლივობა ზუსტად არაა განსაზღვრული და მისი სავარაუდო ხანგრძლივობა 40-43 კვირაა.

1.6.2 ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობად მითითებულია ერთი სემესტრი, თუმცა პროგრამიდან არ ჩანს რამდენ კვირიანია სემესტრი.

1.6.3 თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში კომუნიკაციის უნარში მითითებულია, რომ სტუდენტი შეძლებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, ეს კი შეუსაბამობაშია ამავე სასწავლო კურსების სწავლების მიზანთან და თემატიკასთან.

1.7 ტუროპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.7.1 ზოგიერთ სილაბუსში, (ტურისტული საწარმოს მარკეტინგი, ტურიზმის ეკონომიკა, სამეწარმეო სამართალი და სხვ.) შედეგები შეუსაბამობაშია მიზნებთან. კონკრეტულად კი - კომუნიკაციის უნარში მითითებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

1.7.2 ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობად მითითებულია ერთი სემესტრი, თუმცა პროგრამიდან არ ჩანს რამდენ კვირიანია სემესტრი.

1.8 ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარდგენილი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამები არ იყო შესაბამისი კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტთან.

1.9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი დაშვების წინაპირობა არ შეესაბამება კანონმდებლობით და სტანდარტით განსაზღვრულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

1.10 სასწავლოკურსებისპროგრამებში (სილაბუსებში) გაწერილი სწავლის შედეგები არ არის შესაბამისი სწავლის შედეგების ადეკვატური.

1.11 დაწესეულებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით შემუშავებული აქვს დებულება. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარადგინა საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ შემუშავებული და დამტკიცებული ახალი დებულება (ბრძ. N02/01-25, 5.06.2012). მოცემული დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით - ,,მე-4 და მე-5 საფეხურზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგად უნარ-ჩვევებში მოპოვებული გამსვლელი ქულების მიხედვით“. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანება ,,პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ,,აბიტურიენტი, რომელმაც გადალახა ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ ვერ მოხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში, უფლებამოსილია პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე ჩაირიცხოს IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე“.

1.12 დირექტორის ბრძნებით დამტკიცებულია ,,არაფორმალური განათლების აღიარების წესი“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანების კოპირებას და მასშიარ არის გაწერილი არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებლებას არ აქვს მის მიერ განსაზღვრული მიზნების (დებულების მე-2 მუხლი) მისაღწევი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ, ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულებას აქვს ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა და რამოდენიმე ერთეული ქიმიური ლაბორატორიისათვის საჭირო სინჯარა და კოლბა, რაც ვერ უზრუნველყოფს ფარმაცევტის თანაშემწის სტანდარტით და დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიღწევას.

2.2 მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო ინვენტარის სახით დაწესებულებას აქვს მხოლოდ ხის ტახტი, რაც ასევე ვერ უზრუნველყოფს მასაჟისტის პროფესიული სტანდარტით და დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიღწევას.

2.3 ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტითა და დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად დაწესებულებაში არ არის ვიზუალური თუ პრაქტიკული მეცადინეობის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი“, რომელიც დამტკიცებულია საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 25 იანვრის N02/01-14 ბრძანებით. ამ წესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს კონკურსის პირობების ბრძნებით დამტკიცებას. შპს - სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა ვაკანტური ადგილების დაკავებასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება N02/01-15 (01.02.2012) ითვალისწინებს საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას და კონკურსანტებთან გასაუბრებას. აღსანიშანავია, რომ დაწესებულების მიერ შემუშვებული არც ,,პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესში“ და არც ბრძნებაში არ არის გაწერილი საკონკურსო გამჭვირვალე პირობები და კრიტერიუმები, ბრძნება მოიცავს მხოლოდ საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმეტნაციის ჩამონათვალს.

3.2 დაწესებულების მიერ დაცულია კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადა, თუმცა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1-ით (14.03.2012) არ დგინდება როდის ჩატარდა კონკურსანტებთან ბრძანებით განსაზღვრული გასაუბრება.

3.3 დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისათვის დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების გამჭვირვალობა და დაცვა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად შენიშვნების რაოდენობრივი სიმრავლისა, მათ იდენტური შინაარსი აქვთ.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისმა საუნივერსიტეტო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგჯერ, სტუდენტების გაცდენის ან დღესასწაულების გამო, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა ითხოვს დამატებით დროს პროგრამის დასასრულებლად, შესაბამისად, არ იქნა დაზუსტებული ვადა.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, ითხოვს, პროგრამის ხანგრძლივობის ზუსტ მითითებას.

დასკვნით და განმეორებით გამოცდასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არ იცოდნენ, თუ გამიჯვნა აუცილებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ იყო დასკვნაში დაფიქსირებული ისეთი ხარვეზი, რომელსაც არ ეთანხმებოდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გაიზიარეს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა, გამოასწორეს ხარვეზები და დოკუმენტაცია მოაწესრიგეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მოსაზრება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე.

კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, მათ ჩარიცხვის წესი განსაზღვრული ჰქონდათ ბრძანების შესაბამისი მუხლის ძველი რედაქციის მიხედვით. მისი განცხადებით, აღნიშნული ხარვეზიც აღმოფხვრილი იყო.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებულ შენიშვნებზე, საზოგადობრივი კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ კარადაში ჩაეკეტათ ხსნარები და კოლბები და შესაბამისად, ვერ წარუდგინეს ექსპერტებს. მისი განცხადებით, მათ არ ეგონათ თუ რამოდენიმე კოლბის არქონის გამო, ექსპერტები, აღნიშნულს ხარვეზად ჩაუთვლიდნენ.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ერთი ხარვეზის არსებობაც კი საკმარისია, იმისათვის, რომ დაწესებულებას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე. ამ შემთხვევაში საქმე, მხოლოდ კოლბებში არ იყო.

მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი სარეკომენდაციო ორგანო არ იყო. მათ კონსულტაციები უნდა მიეღოთ მანამ, სანამ ექსპერტები განახორციელებდნენ ვიზიტს, მათ შორის ცენტრისგანაც. საბჭო მხედველობაში აღარ მიიღებდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ გასწორებულ ხარვეზებს.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის, განცხადებით, ის ეთანხმება იმ აზრს, რომ ხარვეზებს აქვთ იდენტური შინაარსი, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ დაწესებულებამ არ გამოიყენა ის საშუალება, რომელსაც ცენტრი მუდმივად სტავაზობდა მას, მიეღოთ კონსულტაციები. დაწესებულებას დარღვეული აქვს თითქმის ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოქმედებს განათლების სისტემაში.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, ის ეთანხმება ლალი ღოღელიანის შეფასებას და მიაჩნია, რომ მსგავს სიტუაციაში საბჭო იძულებულია უარი უთხრას დაწესებულებას ავტორიზაციის მინიჭებაზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400034752) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. **შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

საბჭომ განიხილა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია

- SBA-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1	აუდიტორის ასისტენტი	მესამე	აუდიტორის ასისტენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
3	სადაზღვევო აგენტი	მესამე	სადაზღვევო აგენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

4. შპს - პროფიუნიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემგედი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სამთო ტექნიკოსის III, VI და V საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში წამოდგენილი სწვლის მიზნები არ შეესაბამება სამთო ტექნიკოსის პროფესიულ სტანდარტით დადგენილ მიზნებს.

1.2 სამთო ტექნიკოსის III, VI და V საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები (კერძოდ ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და ა.შ.) სრულიად განსხვავებულია სტანდარტის მოთხოვნებისგან.

1.3 წამოდგენილი პროგრამების სილაბუსების თემატიკა და შინაარსი, ასევე მიზნები და შედეგები არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი შესაბამისი ცოდნის, კომპეტენციების, უნარების მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ მიაჩნდათ, რომ შემუშავებული პროფესიული პროგრამები პასუხობდნენ შესაბამისი სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებული სილაბუსები იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ, პროფესიულ სტუდენტს აღნიშნულ დარგში ჰქონოდა ფართო პროფილის ცოდნა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ სამთო ტექნიკოსი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მაღალრისკიანი პროფესია. შესაბამისად, აღნიშნული სპეციალობის პროფესიული სტანდარტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა ის კომპანია, აკადემიური პერსონალი და დარგის სპეციალისტი, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ ამ სფეროში. აქედან გამომდინარე, ლალი ღოღელიანმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ სამთო ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს სამთო ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭომ განიხილა შპს - პროფიუნიტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროფიუნიტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - პროფიუნიტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204436985) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სამთო ტექნიკოსი	III	მესამე საფეხურის სამთო ტექნიკოსი	20
2	სამთო ტექნიკოსი	IV	მეოთხე საფეხურის სამთო ტექნიკოსი	60
3	სამთო ტექნიკოსი	V	მეხუთე საფეხურის სამთო ტექნიკოსი	60

5. შპს - ლაზარე +-ისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემგედი შენიშვნები:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.1.1 სასწავლო გეგმაში, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის საათები არ არის გაწერილი.

1.1.2სილაბუსებში არ არის მითითებული კურსის ხანგრძლივობა.

1.1.3 სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგები არ არის გაწერილი კომპეტენციების მიხედვით, ამიტომ ვერ დგინდება მათი შესაბამისობა სწავლის შედეგების რუქასთან.

1.1.4 სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სილაბუსში კურსის შესწავლის წინაპირობად მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

1.1.5 სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში შეფასების კომპონენტებში შუალედური გამოცდა მითითებული არ არის, თუმცა სილაბუსებში ამ გამოცდისათვის ცალკე საათებია გამოყოფილი.

1.1.6 სასწავლო კურსის „ქართული ენა“ სილაბუსში კრედიტების გადანაწილების გრაფაში დასკვნით და შუალედურ გამოცდას 6 საათი აქვს დათმობილი. აქედან 2 საათი შუალედურ გამოცდას, დასკვნითი გამოცდა და მისთვის დათმობილი საათები საერთოდ არ ფიქსირდება სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში.

1.2 კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა:

1.2.1 პროგრამაში სწავლის ხანგრძლივობა მითითებულია 15 თვე, ამავდროულად, მითითებულია, რომ სწავლება გაგრძელდება სამ სემესტრად და თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა იქნება 15 კვირა. ანუ სულ 45 კვირა. ცალკე საწარმოო პრაქტიკისთვის 15

კვირაა მითითებული. სავარაუდოდ, დაშვებულია მექნიკური შეცდომა პროგრამის ხანგრძლივობის დაანგარიშებაში.

1.2.2სილაბუსებში არ არის მითითებული კურსის ხანგრძლივობა.

1.2.3 სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგები არ არის გაწერილი კომპეტენციების მიხედვით, ამიტომ ვერ დგინდება მათი შესაბამისობა სწავლის შედეგების რუქასთან.

1.2.4 სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სილაბუსში კურსის შესწავლის წინაპირობად მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

1.2.5 „სასწავლო პრაქტიკის“ და „ნაწილობრივ ფირფიტოვან ან მთლიანი ფირფიტოვანი პროტეზები“ კურსების სილაბუსებში, შეფასების კომპონენტებში შუალედური გამოცდა (შეფასება) გათვალისწინებული არ არის, სილაბუსების შინაარსობრივ მხარეში კი ჩანს, რომ შუალედურ გამოცდას 2 საათი ეთმობა.

1.2.6 საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისათვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს დადებული შპს - „დენს“ სტომატოლოგიურ კლინიკასთან.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 პროფესიული კოლეჯი შპს „ლაზარე+“ განთავსებულია რუსთავში, მაჩაბლის ქუჩა N3-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე და იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 550 კვ.მ. ფართს, სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი, ექთნის თანაშემწის და კბილის ტექნიკოსის სასწავლო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახი. აღნიშნული ფართიდან 5 აუდიტორია (147 კვ.მ.) გაურემონტებელია და არ არის აღჭურვილი საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით.

2.2 დაწესებულების სველი წერტილები არ არის კეთილმოწყობილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. ვიზიტის დროს პროფესიული კოლეჯის დირექტორმა გააფორმა ხელშეკრულება შპს - ,,ლ.დ ინვესტთან“. ხელშეკრულების საგანია: ,,დამკვეთს დაუმონტაჟოს სველი წერტილი - უნიტაზი რაოდენობით ორი ცალი“.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, არც ისე მცირეა. თუმცა, ყველა შენიშვნა გამოსწორებადია, მითუფრო, რომ ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას და იგი დაწესებულებამ უკვე გამოასწორა. მაგალითად, 1.2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, აღმოიფხვრა ხარვეზი პროგრამის ხანგძლივობის დაანგარიშების კუთხით, ასევე, სრულყოფილად იქნა გამოსწორებული სილაბუსებში დაფიქსირებული ხარვეზები, ამ ეტაპზე საწარმოო პრაქტიკა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხვნებს.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით (2.2 შენიშვნა) წარმოდგენილ იქნა სველი წერტილის ამსახველი ფოტო-მასალა. 2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელოსნოში განთავსებულია 12 კომპიუტერი, გვერდითა ოთახში არის ასევე დაშლილი კომპიუტერები.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მიესალმება დაწესებულების მხრიდან ხარვეზების გამოსწორების კუთხით ადექვატური ზომების მიღების ფაქტს. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ დაწესებულება სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის

ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის, ვინაიდან საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სწორედ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო ვიზიტის შემდგომ ხარვეზების გამოსწორება მხედველობაში არ მიიღება.

საბჭომ იმსჯელა შპს - ლაზარე+-ისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლაზარე+-ისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ლაზარე + -ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 416294744) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მერსამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70
2	კორესპონდენტი	მესამე	კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45

6. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

საბჭომ განიხილა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764) მიენიჭოს

უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1.	მასაჟისტი	III საფეხური	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	პრაქტიკოსი ექთანი	V საფეხური	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
3.	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	III საფეხური	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35

7. შპს - ინტერბიზნესის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

საბჭომ განიხილა, შპს - ინტერბიზნესის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს - ინტერბიზნესის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე საფეხური	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
2.	ღონისძიებათა მომწყობი	მესამე საფეხური	ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
3.	ექთნის თანაშემწე	მესამე საფეხური	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90

8. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - პანაცეასათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

საბჭომ განიხილა, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - პანაცეასათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ - პანაცეასათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტი	მესამე საფეხური	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60 კრედიტი
2	პრაქტიკოსი ბებიაქალი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული კვალიფიკაცია	120 კრედიტი

საბჭოს სხდომა დატოვა დავით კახნიაშვილმა.

9. შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობას, კერძოდ: ქართული ენა და ლიტერატურა დამატებულია I–II კლასებში კვირაში 2 საათი, III–IV კლასებში კვირაში 3 საათი; ინგლისური ენა დამატებულია I–II კლასებში კვირაში 3 საათი, III კლასში კვირაში 1 საათი, IV–VI კლასებში კვირაში 2 საათი; მათემატიკა დამატებულია I კლასში კვირაში 3,5 საათი, II კლასში კვირაში 3 საათი, III–IV კლასებში კვირაში 1 საათი, V–VI კლასებში კვირაში 2 საათი; აღსანიშნავია რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მხოლოდ ჩამონათვალი აღნიშნული საგნებისა და არ არის მოცემული მათი აღწერილობა, მიზნები, მომსახურების სახე(ფაკულტატური თუ სავალდებულო), შეფასების პრინციპები რითაც დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე–12 მუხლის მე–4 პუნქტის მოთხოვნები.

1.2. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა სკოლას არ აქვს.

1.3. სასკოლო საათობრივ ბადეს, რომელშიც შესულია მხოლოდ ესგ–თი განსაზღვრული სავალდებულო საგნების და საათების რაოდენობა და არ არის შესული ზემოთ აღნიშნული დამატებითი საგნების/საათების რაოდენობა, ასევე არ არის მითითებული კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი პედაგოგი ასწავლის კონკრეტულ კლასს, რითაც დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე–13 მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის მოთხოვნები.

1.4. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, საგანმანათლებლო რესურსების ტიპებს, თუმცა არ არის წარმოდგენილი სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურისა და საგნების შესაბამისად, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნაა. დარღვეულია ეროვნული სასსწავლო გეგმის თავი III. სასკოლო სასწავლო გეგმა მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

1.5. სკოლა მოსწავლეთა სიმცირის გამო V–VI კლასებში გეგმავს კლასკომპლექტის შექმნას, ასევე კონტინგენტის სიმცირის გამო კათედრები არ არის შექმნილი, სკოლის დირექტორის განმარტებით კათედრის ფუნქციებს შეუთავსებს პედსაბჭოს. სკოლამ ვერ წარმოადგინა საგნობრივი პროგრამები და თემატურ-კალენდარული გეგმები. დირექტორის განმარტებით მასწავლებლები მუშაობენ ამ კუთხით და უახლოეს მომავალში მზად ექნებათ.

1.6. სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების სისტემა მოიცავს ამონარიდებს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ I-IVკლასებში უნდა ჰქონდეს განმავითარებელი შეფასება, ხოლო V-VI კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი, მაგრამ სკოლას არ წარმოუდგენია შეფასების ზოგადი რუბრიკები საგნებისა და კომპონენტების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასებისთვის V-VI კლასებში შესაბამისად ვერც მისი გამჭვირვალობაა უზრუნველყოფილი, დირექტორის განმარტებით მათი შემუშავება მოხდება მოგვიანებით, სასწავლო წლის დადგომამდე.

1.7. შემუშავების პროცესშია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს „ნანა“ (ს/კ 226527283) ფუნქციონირებას აპირებს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიან შენობა ნაგებობაში, რომლის საერთო ფართობი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით წარმოადგენს 150 კვ.მ.–ს. საჯარო რეესტრში მოიჯარედ მითითებულია შპს–ს ერთპიროვნული მფლობელი და სკოლის დირექტორი ნანა გელაშვილი (პ/ნ 12001006676), ამასთან იჯარა გაფორმებულია ერთი წლის ვადით დირექტორის განმარტებით შენობა იჯარით აღებულია აუქციონში გამარჯვების შედეგად და გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება გარდაბნის მუნიციპალიტეტთან, ამასთან განცხადებლად მითითებული იყო სკოლა და არა პიროვნება, აღნიშნული ხელშეკრულება სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია მისი არსებობა. ამდენად სკოლის სახელზე ფართის არსებობა ვერ დასტურდება.

2.2 ბიბლიოთეკაში არის ინვენტარიზაციის წიგნი. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, არ აქვს ბიბლიოთეკის დებულება ან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი რითაც დარღვეულია ესგ-ს მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც „სკოლამ უნდა შეიმუშაოს და მოსწავლეებს გააცნოს სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები“.

2.3 სკოლას, შენობის შიგნით შესასვლელად აქვს მოძრავი ხის პანდუსი. ზემოთ აღნიშნული თითო სველ წერტილში დამაგრებულია ხელის მოსაკიდები. სკოლის დირექტორის განმარტებით ეს სველი წერტილები გათვლილია სსსმ მოსწავლესთვის იმ ვარაუდით, რომ გამოიყანებენ მოძრავ სკამ–უნიტაზს, (სკოლას შეძენილი აქვს ერთი ასეთი სკამი), თუმცა აღსანიშნავია, რომ სველი წერტილის კარები ვიწროა და ეტლით შიგნით შეღწევა დამოუკიდებლად შეუძლებელია.

2.4 ვებ-გვერდი შექმნის პროცესშია, გაფორმებულია ონლაინ ხელშეკრულება შპს „პროსერვისთან“ ჰოსტინგის შეძენის თაობაზე და დარეგისტრირებულია დომენი მისამართით www.Skolanana.ge.

2.5 აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობას აქვს სათადარიგო შესასვლელი ქუჩის მხრიდან, რომელზეც კამერა არ აყენია. დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების გამო, ეს კარი მუდმივად დაკეტილია და მხოლოდ ინვენტარის ან შეშის შემოტანის დროს სარგებლობენ.

2.6 ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა წესდება.

2.7 დაწესებულებაში წარმოებს: გასული და შემოსული კორესპონდენციების, და ბრძანებების აღრიცხვა, თუმცა აღსანიშნავია რომ მათი წარმოება ხდება ლიცენზიით მოქმედი კერძო სკოლა „ნანას“ (რომელმაც საქმიანობა 2012 წლის თებერვალში შეწყვიტა) მიერ ნაწარმოებ ჟურნალებში.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნა გამოსწორებული იყო და საჭიროების შემთხვევაში სკოლას შეეძლო წარმოედგინა ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაშვებული იყო შეცდომა შენობის გადაცემის დროს, კერძოდ, დაწესებულებას შენობა უნდა გადასცემოდა იჯარის ხელშეკრულებით, რომლის მოქმედების ვადა იქნებოდა 10 (ათი) წელი. ნაცვლად ამისა, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადად მიეთია 1 (ერთი) წელი, ხოლო მოიჯარედ დაფიქსირდა ფიზიკური პირი (შპს - ნანას დირექტორი) და არა თავად შპს - ნანა. ამასთან, არსებობდა საკრებულოს წერილი, რომლის თანახმად უფლებამოსილ ფიზიკურ პირს შეეძლო გადაეცა შენობა ქვეიჯარის ხელშეკრულებით შპს - ნანასათვის.

სხდომის თავჯდომარე განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ უძრავ ქონებაზე უფლების დამდასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მას ვერ ჩაანაცვლებს საკრებულოს წერილი. რაც შეეხება სხვა შენიშვნების გამოსწორებას, საბჭოს არ გააჩნდა უფლებოსილება, საბჭოს სხდომის ფორმატში შეემოწმებინა რეალურად იყო თუ არა სახეზე ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება. თავჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ვიზიტის შემდგომ ხარვეზების გამოსწორება მხედველობაში არ მიიღება.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას მოსწავლეები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლამ ფუნქციონირება შეწყვიტა თებერვლის თვეში (თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო), შესაბამისად, ამ ეტაპზე მოსწავლეები არ ჰყავდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარმოდგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან სკოლის შენობა დაიწვა. ამასთან, სკოლა არასწორად იყო ინფორმირებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ეტაპების დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანებით დადგენილ ვადებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ გარდაბანში აუცილებელია სკოლის არსებობა, თუმცა საბჭო ვერ შეამოწმებდა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორების ფაქტს, ამასთან, აღსანიშნავი იყო შენიშვნები მატერიალური რესურსის ნაწილშიც.

საბჭომ იმსჯელა შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნანას ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნანას (საიდენტიფიკაციო კოდი: 226527283) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

10. შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 600-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის დირექტორის მოადგილეს პეტრე წურწუმიას, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. პეტერ წურწუმია არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 504 პროფესიული სტუდენტისთვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 504-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 401963194) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 504-ით.

11. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 რიგ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შესაბამისობაში არ მოდის პროგრამის სწავლის შედეგების რუკასთან; მაგ: ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ბიზნესის ეთიკის სილაბუსში, სწავლის შედეგებში მითითებულია კომპეტენცია კომუნიკაციის უნარი, სწავლის შედეგების რუკაში კი, მითითებულია: სწავლის უნარი და ღირებულებები.

1.2 ოფისის მენეჯერის მეორე საფეხურის პროგრამის სასწავლო კურსებში შედის დისციპლინა – მათემატიკა, რომელის შესწავლაც ამავე პროგრამის მიზნებითა და სწავლის შედეგებით არ არის გათვალისწინებული.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული შეცდომა იყო ტექნიკური ხასიათის, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოსწორდა.

ექსპერტის, ნონა ზუმბაძის, განცხადებით, ზემოაღნიშნული ხარვეზები დაფიქსირდა მხოლოდ 2 სილაბუსში.

საბჭოს წევრებმა მიიჩნია, რომ რადგან ხარვეზებს არ ჰქონდა სისტემური ხასიათი, ისინი, არაარსებითად უნდა ჩათვლილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 480-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა

მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კავკასიონი'', მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, მერხების რაოდენობის მიხედვით, შეეძლო 524 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონის'' ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონის'' ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 524-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 524-ით.

12. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები- დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 2500-ით განსაზღვრა. მათ შორის 2000 აკადემიური სტუდენტი და 500 პროფესიული სტუდენტი.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, პეტრე წურწუმიას, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 2300 სტუდენტისთვის. მათ შორის 1800 აკადემიური სტუდენტი და 500 პროფესიული სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202192643) 2012 წლის 3 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2300-ით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

საბჭოს სხდომა დატოვა ლალი ღოღელიანმა.

13. შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 484-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, პეტრე წურწუმიას, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა . შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204876991) 2012 წლის 22 ნოემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

14. შპს - ევრაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსების საათების განაწილებაში დასკვნითი გამოცდისათვის განკუთვნილი დრო დაანგარიშებულია დამოუკიდებელი დროის რაოდენობაში. ხოლო შუალედური შეფასების გამოცდის დრო კი საკონტაქტო დროთა რაოდენობაში.

1.2. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულია სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. კურიკულუმებში შედეგები გაწერილია ექვს კომპეტენციად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი ყველა სასწავლო კურსის შედეგებში გაწერილია ექვსივე კომპეტენცია, შესაბამისად კურიკულუმების შედეგების რუქაში თითოეული სასწავლო კურსის გასწვრივ ყველა კომპეტენციაა მონიშნული.

2. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 სრული პროფესორი ავთანდილ გაგნიძე ამავდროულად სრულ პროფესორად დაფიქსირებულია შპს - კავკასიის უნივერსიტეტში.

2.2 ასოცირებული პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი დაფიქსირებულია სრულ პროფესორად შპს - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, ხოლო ასოცირებულ პროფესორად შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნებს ეთანხმებოდა, თუმცა აკადემიური პერსონალის მინიმალურ მოთხოვნას დაწესებულება აკმაყოფილებდა, რაც შეეხება კონკრეტულ ორ პროფესორს, ისინი დაწესებულებას ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში შეუერთდებოდანენ მომავალში.

საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების

თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1000-ით განსაზღვრა, რის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო, როგორც საბაკალავრო, აგრეთვე სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების სწავლება ორ ცვლაში.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, პეტრე წურწუმიას, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა 1000 სტუდენტისთვის შესაბამის გარემოს შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ჩერქეზიშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულების პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის, აგრეთვე საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით ნამდვილად შეეძლო 650 სტუდენტის მიღება.

პეტრე წურწუმია არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 640 სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევრაზიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 640-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევრაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028849) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 640-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:34 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი